საქართველოს პარლამენტი

2024 წლის აპრილის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
მაისი

2024 წლის აპრილის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

8.2%

მარტი*

2024 წლის აპრილში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **1.5%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **2.3%**-ით განისაზღვრა.

იანვარ - მარტში* საქონლის ექსპორტი **9.3%**-ით, ხოლო იმპორტი **5.3%**-ით შემცირდა.



მარტში* ფულადმა გზავნილებმა **278.5** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **41.5%;**
რუსეთი - **19.0%;**
აშშ - **16.1%;**
სხვა ქვეყნები - **23.4%.**

მარტში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **0.2%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **1.4%**-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის მარტში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 8.2%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მარტში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.2% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა დამამუშავებელი მრეწველობის, ინფორმაცია და კომუნიკაციის, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების დარგებმა, ხოლო კლება დაფიქსირდა მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და დასაწყობების დარგებში.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის მარტში* 12,660.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12.3%-ით აღემატება.

<u>2024 წლის აპრილში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 1.5% შეადგინა.</u>

აპრილში, წინა წლის აპრილთან მიმართებით, ინფლაციის დონე 1.5%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, აგრეთვე განათლებაზე. აპრილში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.3%-ით განისაზღვრა.

2024 წლის მარტში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 1.8% შეადგინა.









2024 წლის მარტში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

მარტში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 43.9%-ით, ხოლო ხარჯები 7.4%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 826.7 მლნ ლარით, ხოლო ასევე დადებითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის პროფიციტი) 481.9 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მარტში* საგადასახადო შემოსავლებმა 2206.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 48.9%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზრდა საშემოსავლო გადასახადი (10.1%), აქციზი (13.2%) და სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები (308.4%). ამავე პერიოდში 31.0%-ით შემცირდა მოგების გადასახადი, ხოლო ქონების გადასახადი - 147.7%-ით. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 61.9%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 38.1% შეადგინა. მარტში*, წინა წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით, არაფინანსური აქტივების დადებითი 35.5%-იანი ზრდა (112.8 მილიონი ლარით მეტი), ხოლო ფინანსური აქტივების 176.3%-იანი კლება (56.6 მილიონი ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.



2024 წლის მარტში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

მარტში*, წინა წლის მარტთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 18.4%-ით მოიმატა და 52.0 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 19.1%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 17.6%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 0.54 პპ-ით გაიზარდა და 44.7% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.7%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.9% ფიზიკურ პირებზე მოდის, 14.1% კი ინდმეწარმეებზე). გაცემული სესხების 36.0% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 64.2% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი სესხი - 21.6% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.5% - მშენებლობის, 18.3% - მრეწველობის, 13.0% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-მარტში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 9.3%-ით, ხოლო იმპორტმა 5.3%-ით დაიკლო, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 6.5%-ით შემცირდა და 4,699.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.2%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (146%), აშშ-ში (96%), უზბეკეთში (55%), უკრაინასა (21%) და ყაზახეთში (20%). ექსპორტი შემცირდა ბულგარეთში (82%), ჩინეთში (52%), სომხეთში (42%), აზერბაიჯანში (26%), რუსეთსა (9%), და თურქეთში (7%).

იანვარ - მარტში* საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი მეტალების (141%), მედიკამენტების (50%), ნატურალური ღვინის (48%), სპირტიანი სასმელების (43%) და მინარალური წყლების შაქრის გარეშე (40%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობისა (11%) და აზოტოვანი სასუქების (39%) საზღვარგარეთ გატანა.



2024 წლის იანვარ - მარტში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი, 72.6% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 20.0% - საზღვაო, 4.4% - საჰაერო, 2.9% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 0.1% შეადგინა.



იანვარ - მარტში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით, იმპორტის უდიდესი ნაწილი 50.2% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 30.9% - საზღვაო, 7.1% - საჰაერო, 6.5% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 5.3% შეადგინა.



იანვარ - მარტში* საქართველოს ადგილობრივმა ექსპორტმა 1,326.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 9.3%-ით ჩამორჩება. იანვარ - მარტის* თვეში ათი უმსხვილესი ქვეყანა სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა იყო: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21.8%), თურქეთი (13.6%), ჩინეთი (9.3%), სომხეთი (5.3%), აშშ (4.6%), აზერბაიჯანი (4.0%), უკრაინა (3.9%), შვეიცარია (3.6%), პერუ (3.5%), ბულგარეთი (2.3%).





2024 წლის მარტში* ფულადი გზავნილები შემცირდა.

მარტში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილები 36.5%-ით შემცირდა და 278.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 41.5%) და რუსეთი (19.0%) წარმოადგენდნენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მოიმატა: იტალიიდან (7.5%, 46.7 მლნ აშშ დოლარი), აშშ-დან (24.4%, 44.8 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (12.5%, 21.2 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (7.1%, 21.0 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (14.7%, 20.1 მლნ აშშ დოლარი) და სხვა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: რუსეთიდან (76.3%, 53.0 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (32.2%, 11.8 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (19.5%, 8.2 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანიდან (15.8%, 3.5 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთიდან (51.7%, 2.8 მლნ აშშ დოლარი) და სხვა.

2024 წლის აპრილში საერთაშორისო რეზერვებმა 4,814 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

აპრილში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,814 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 6.2%-ით ნაკლებია, წინა თვესთან მიმართებით კი 0.8%-ით მეტი.

2024 წლის აპრილში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული .

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

<u>2024 წლის მარტში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.</u>

მარტში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა 1.1%-ით გაიზარდა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 16.8%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 12.4%-ით შემცირდა.

ფულის M2 აგრეგატმა 28.4%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 19.0%-ს გაუტოლდა. 2024 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 1.5% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



2024 წლის აპრილის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 8,675.4 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, 63.6% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 22.8% ეროვნული ბანკის, ხოლო 13.6% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 10.5%, არა რეზიდენტი - 3.0%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(აპრილი)



2024 წლის მარტში*, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 53,632.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20.4%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 49.2% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა - 50.8%.

2024 წლის მარტის თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.6% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.4% ფიზიკურ პირებს ეკუთნის.

ანალოგიურ პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 65.0% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 35.0% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(მარტი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 47.2% ვადიანი დეპოზიტებია, 26.8% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 26.0% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში ყველაზე დიდი წილი კვლავ ვადიან დეპოზიტებს უკავია (38.1%), შემდეგ მოდის მოთხოვნამდე დეპოზიტები (32.7%) და მიმდინარე ანგარიშები (29.2%).



<u>2024 წლის მარტში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.</u>

მარტში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.46 პპ-ით შემცირდა და 46.2%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.54 პპ-ით მოიმატა და 44.7% შეადგინა.

მარტის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.5%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 0.6%-ით მოიმატა.



2024 წლის მარტში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 10,143.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 26.8%-ით აღემატება. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 97.0%-ია, ხოლო მოკლევადიანის მხოლოდ 3.0%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 35,143.2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 23.1%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 47.7%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 52.3%.



მარტის* ბოლოს არსებული მონაცემებებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების 62.3% გაცემულია თბილისში, 8.0% იმერეთში, 7.5% აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.7% კახეთში, 4.7% ქვემო ქართლში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის მარტში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.6 პპ-ით, ხოლო სესხებზე ასევე 0.6 პპ-ით შემცირდა.

მარტში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.8% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.9%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) მარტის* მდგომარეობით 5.9% შეადგინა, 0.59 პპ-ით ნაკლები წინა წლის მარტთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 0.75 პპ-ით შემცირდა და 8.25% შეადგინა.





2024 წლის აპრილში, წინა თვესთან მიმართებით, ლარი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარდა.

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.2%-ით, ევროს მიმართ 1.4%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 1.3%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, აპრილში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 5.7%-ით და ევროს მიმართ 3.7%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 57.8%-ით გამყარდა.

მარტის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.68, ევროსთან მიმართებთ 2.87, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2023 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,045 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 15.3%-ით (271 ლარით მეტი), ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 10.2%-ით მეტია (189 ლარით მეტი).

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2023 წლის IV კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში 4,309 ლარის ოდენობით (17.3% წლიური ზრდა), აგრეთვე საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებსა (3,110 ლარის ოდენობით, 14.1% წლიური ზრდა) და მშენებლობის დარგებში (3,063 ლარის ოდენობით, 20.8% წლიური ზრდა).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით
(ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე
(მლნ ლარი)



2024 წლის მარტის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა განათლებაზე, ხოლო შემცირდა ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

მარტში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 201.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 33.9%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 112.7 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.5%-ით ნაკლები.

5. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის აპრილში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 69.8% შეადგინა, ხოლო სომხეთში დეფლაცია (-0.7%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის მარტის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 1.0%-ით, ხოლო რუსეთში 7.7%-ით გაიზარდა.





2024 წლის აპრილის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აპრილში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი (5.7%-ით), თურქული ლირა (40.3%-ით), რუსული რუბლი (12.9%-ით), სომხური დრამი (0.8%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით) გაუფასურდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	აპრ 23	მაი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.5	7.0	7.7	5.5	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	8.2	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	6.1	5.2	6.1	2.9	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	8.5	
ინფლაცია (%)	2.7	1.5	0.6	0.3	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	0.0	0.3	0.5	1.5
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	10.5	10.5	10.5	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	9.00	9.00	8.25	8.25
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.4	0.4	0.5	0.5	0.4	0.4	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	0.4	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.5	2.5	2.6	2.6	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	369 709	384 886	353 171	301 068	287 006	283 878	283 006	292 733	308 286	263 169	264 345	278 469	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	501	541	550	527	493	526	495	482	514	339	465	523	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1 224	1 330	1 342	1 324	1 411	1 382	1 359	1 295	1 364	1 087	1 142	1 145	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-723.6	-788.4	-791.8	-796.8	-917.3	-855.5	-864.3	-812.8	-849.8	-748.1	-677.3	-621.9	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5 133	5 005	5 067	5 436	5 437	5 273	5 119	5 122	5 003	4 853	4 746	4 777	4 814
შემოსავლები (მლნ ლარი)	2 165	1 756	1 878	1 847	1 722	1 821	1 913	1 831	2 122	2 116	1 823	2 384	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 497	1 569	1 441	1 901	1 269	1 496	1 626	1 581	1 947	1 716	1 676	1 558	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	414	401	496	365	659	616	469	545	1 109	402	420	430	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი